



რეგიონული განვითარების საზოგადოების  
სასტიპენდიო ფონდი

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

რეგიონული განვითარების საზოგადოებასა (RDS) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი) შორის.

წინამდებარე მემორანდუმი ფორმდება რეგიონული განვითარების საზოგადოებასა (შემდგომში RDS) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (შემდგომში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი) შორის საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მიზნით.

1. მხარეები ითანამშრომლებენ რეგიონში მცხოვრები სტუდენტების განათლებაზე სიღარიბის გავრენის შემცირების მიზნით.
2. RDS-ს ყოველი წლის დასაწყისში გამოაცხადებს საბუთების მიღებას სწავლის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონების სახელმწიფო უნივერსიტეტებში. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს ექნება პასუხისმგებლობა ხელი შეუწყოს ამ ინფორმაციის სტუდენტებში გავრცელებას, თუ საჭირო გახდა გამოყოს შეხვედრის ადგილი და დრო.
3. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეკომენდაციას გაუწევს თავის სტუდენტებს და დამატებით ინფორმაციას მოგვანჯღის სტუდენტების სოციალურ მდგომარეობაზე. ეს დაეხმარება RDS-ს მაქსიმალურად სწორედ შეარჩიოს სტიპენდიანტები.
4. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, როგორც მხარდამჭერი ორგანიზაცია ჩაერთვება RDS-ის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართული იქნება RDS-ის პოპულარიზაციისკენ, სტიპენდიანტების განათლებისა და პროფესიული განვითარებისკენ.
5. რეგიონში განათლებაზე სიღარიბის გავრენის შესახებ არსებული პრობლემების განხილვის ან პრობლემაზე მუშაობის



რეგიონული განვითარების საზოგადოების  
სასტიკენდიო ფონდი

შემთხვევაში შედგება ურთიერთთანამშრომლობა. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ თემატურ ღონისძიებებში RDS-ის წარმომადგენლების ჩართვა.

6. წინამდებარე შემორანდუმში ცვლილება ან დამატება შესაძლებელია შევიდეს ნებისმიერ დროს, ერთ-ერთი მხარის ინიციატივისა და ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
7. შემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან. იგი შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.
8. შემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად. თითო მხარეს დარჩება ერთი ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

რეგიონული განვითარების საზოგადოების დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი


ცისანა კილურაძე



-----

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მერაბ ბერიძე



-----